



ENTERPRISE GEORGIA

სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმები – სასტუმრო და ბალნეოლოგიური კურორტებისთვის

ახალი სასტუმროს მშენებლობის შემთხვევაში - მინ. 10 ნომერი ან არსებული სასტუმროს გაფართოება მინ. 10 ახალი ნომრის დამატება (სავალდებულოა სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილება დადგენილება N365-ის № 3 დანართის შესაბამისად)

» სასტუმროს უნდა ჰქონდეს 1 ან მრავალთაბიანი ნომრები:

ა. 1 ოთახიანი ნომერი - 1 ან 2 ადგილიანი - არანაკლებ 18 კვ.მ, მათ შორის - სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4კვ.მ.

ბ. მრავალთაბიანი ნომერი (აპარტამენტი) 2 ან 2+ ადგილიანი - თითოეულ სტუმარზე არანაკლებ 8 კვ.მ, მათ შორის - სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 2კვ.მ. ნომრებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის სანოლის ჩამატების შესაძლებლობა.

» ლიფტი - თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არაეფექტურია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით):

ა. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია;

ბ. შენობა-ნაგებობა განლაგებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას;

გ. არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს;

დ. თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.

» სანიტარიული კეთილმოწყობა და ელექტრომომარაგება:

» გარე განათება;

» შენობის შიდა ფართობის განათება;

» საშხაპე/აბაზანა, ხელსაბანი, უნიტაზი;

» სასტუმრო ოთახ(ებ)ის და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება.

» ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:

» ნომერში არანაკლებ ერთი ფანჯარა ბუნებრივი განათებისათვის (ხმაურდამცავი მინაპაკეტით);

» ოთახების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა), აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;

» დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური



კონდიციონერება (გათბობა/გაგრილების სისტემა).

» უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:

- ა. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია ქართულ და უცხო ენებზე;
- ბ. საევაკუაციო სქემა სტუმრისთვის თვალსაჩინო ადგილას.

» პირობები შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის:

- ა. სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;
- ბ. შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
- გ. ლიფტით, ეტლით გადაადგილება;
- დ. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება.
- ე. სტუმართა რეგისტრაცია (რეცეფცია):
- ვ. განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;
- ზ. მინიმუმ სამ ადგილიანი მოსასვენებელი რეცეფციასთან;
- თ. სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში.

» კვების ობიექტი - სასადილო ან რესტორანი.